№ 171 მარიამობისთვე 12, შაბათი 1889 მარიამობისთვე 12, შაბათი № 171

ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1889 1877—1889

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზე.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციისაგან

„ივერიის“ რედაქცია გადავიდა კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, იქ, სადაც წინად მომრიგებელ-სასამართლოს მესამე განყოფილება იმყოფებოდა და ამ ჟამად ბ-ნ მრევლიშვილის პანსიონი იმყოფება.

ტფილისი, 11 მარიამობისთვე

ოსმალეთის მდგომარეობა მეტად გააძნელა კრიტელების არეულობამ და დღემდე ოსმალეთს ვერ მოუხერხებია იმათი დამშვიდება. ოსმალეთმა უკვე გაგზავნა კრიტში შაქირ-ფაშა, რომელსაც დაავალა წესიერებისა და მშვიდობიანობის აღდგენა, მაგრამ მეტად საეჭვოა შაქირ-ფაშამ შესძლოს ამ დავალების შესრულება. საქმე ის არის, რომ კრიტის მუსულმანთა და ბერძენთა ურთიერთობა იმდენად გამწვავდა, რომ ტკბილის სიტყვითა და დაპირებით ბერძენთა გულის მოგება ყოვლად შეუძლებელი უნდა იყოს-იმიტომრომ ბერძნებს ბევრი ტკბილი სიტყვა და დაპირება გაუგონიათ ოსმალეთისაგან და, ამას გარდა, კრიტის ბერძნობას ძვალრბილში აქვს გამჯდარი ეროვნული გრძნობა და წადილი.

კრიტის არეულობამ დიდს ფიქრში ჩააგდო საბერძნეთიც. საქმე ის არის, რომ კრიტელებს განზრახვა აქვთ შეუერთდნენ საერთო სამშობლოს—საბერძნეთს—და იმედიცა აქვთ, რომ, ადრე თუ გვიან, ეს წადილი შეუსრულდებათ, მაგრამ საბერძნეთს-კი საშუალება და მოხერხება არა აქვს კრიტელებს დაეხმაროს, რადგანაც ამ გამოსარჩლებას ევროპა არ შეიწყნარებს. ამისდა მიუხედავად კრიტელები მაინც თავ-გამოდებულნი არიან თავისუფლებისათვის და ოსმალეთის თოფ-იარაღსა და რისხვას არ უფრთხიან.

კრიტის არეულობის მიზეზთა შესახებ ბევრი ითქვა, ბერძნებს არავინ არ ამტყუნებს არეულობისათვის და თუ ხელს არ უმართავენ, ამის მიზეზი სულ სხვა არის. თითქო ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ კრიტელებს უფლება აქვთ თავისუფლება ეძიონ, სხვის ბატონობას თავი დააღწიონ, თითქო ყველასა სწამს, რომ, ადრე თუ გვიან, იმათ უნდა შეუსრულდეთ დიდის ხნის წადილი და განზრახვაო.

მიზეზი კრიტელების არეულობისა მრავალია და ამ მიზეზების მოსპობა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლო, როცა კრიტი ბოლოს მოუღებს ოსმალეთის ბატონობას და საბერძნეთს შეუერთდება. მართალია, ბევრსა სწერდნენ ოსმალეთის მტარვალობასა და უსამართლობაზე, მაგრამ დღეს აი რას ამბობენ: ოსმალეთი კრიტელებს ისე არა სჩაგრავდა, როგორც სხვა ქვეშევრდომ ტომებს, კრიტი სხვა პროვინციებთან შედარებით უკეთესს მდგომარეობაში იყო და ოსმალეთიც სცდილობდა კრიტელების გული მოეგოვა, თუ ეს ვერ მოასწრო, ამის მიზეზი ის არის, რომ კრიტელებს ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი ეროვნული გრძნობა და აზრიო. როგორც სწერენ, მთელს კრიტის ბერძნობას შეგნებული აქვს, რომ სხვის ბატონობის ქვეშ არ უნდა იყოს, რაც უნდა გულ-კეთილი და სამართლიანი იყოს ეს უცხო ბატონიო. ამგვარის ცნობიერების მიზეზი, რასაკვირველია, კრიტის ინტელიგენცია ყოფილა, რომელიც დიდი ხანია იღვწვის ეროვნულის აზრების გასავრცელებლად. კრიტელი ახალგაზდა კაცები უმაღლესს სწავლა-განათლებას იღებენ საბერძნეთში და ევროპის სხვა ქვეყნებშიაც და როცა სამშობლოში ბრუნდებიან, მხოლოდ იმასღა სცდილობენ, რომ მოძმეებს შეაგნებინონ თავიანთი ყოფა-მდგომარეობა. დღეს თურმე ეროვნულს აზრს იმდენად მკვიდრადა აქვს ფეხი გადგმული კრიტის ბერძნობაში, რომ ყოვლად შეუძლებელ საქმედ მიაჩნიათ იმისი აღმოფხვრა და შეჩერება.

ა. ნა--ლი

◆

ახალი ამბავი

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ-ნს ი. ბაქრაძეს უთარგმნია ქართულად, „წერა-კითხვის საზოგადოების“ მინდობილობით, პოტტოს თხზულების ის ნაწილი, რომელიც საქართველოს შეეხება. საზოგადოებას განზრახვა აქვს ეს თხზულება მალე დაჰბეჭდოს.

⁂ ამ თთვის გასულს მოელიან საზღვარ-გარეთიდამ ტფილისში ტფილისის გუბერნატორს თ. გ. დ. შერვაშიძეს.

⁂ ამ ხანებშივე ჩამოივლის გზად ტფილისში ევროპიდამ დაბრუნებული შაჰი სპარსეთისა ნასრ-ედინი.

⁂ ამ დღეებში საპიორების ქუჩაზე, არუთინოვის სახლში, ლეჩხუმის მაზრის მცხოვრებელმა სერგო ასათიანმა ხანჯლით დასჭრა ქვრივი ანნა მეკლეკელაძისა და გაიქცა. ანნა მეკლეკელაძესას მუცლის ქვემოდ ჰქონია დარტყმული ხანჯალი. საბრალო დედაკაცმა თურმე იმ დღესვე განუტევა სული. სერგო ასათიანი უკვე შეუპყრიათ.

⁂ გუშინდელს №-ში მოხსენებული იყო, რომ გორის რკინის გზის სადგურის კასსირი ძიმინი დაიკარგა და ვერ იპოვესო. ეხლა გვწერენ, რომ ხმა გავრცელებულა, ვითომ საბრალოს წყალში დაურჩვია თავი. ამბობენ, ვითომ გორის ხიდის მახლობლად ასულიყოს კლდეზე და იქიდგან წყალში გადავარდნილიყოს. ძიმინი რკინის გზაზე მსახურობდა 17 წელიწადს და თავისს თანამდებობას სინიდისიერად ასრულებდა.

⁂ ამ სამის კვირის წინად ავლაბარში მოუტაცნიათ ორი ახალგაზდა ქალი ყ—სა და ფ—სა. პირველი ამათგანი სწავლობდა თურმე ერთს აქაურს სასწავლებელში, შემდეგ შეჰყვარებია ვიღაცა გ., რომელსაც ამ რამდენისამე ხნის წინად სდომებია მოტაცება, მაგრამ ქალის პატრონებს მოუსწრიათ და გაუგდებინებიათ ხელიდგან. ეხლა ეს ვაჟი აქ არის, მაგრამ ქალი-კი არსადა სჩანს. ყ—ისას პატრონები და პოლიცია დაეძებენ, მაგრამ ვერას გახდნენ. მეორე ქალი-კი ჰყვარებია

ფელეტონი

სოფლის კუნწულა

(შემდეგი*)

პეტრო ივანიჩი. (შემოდის ღვინო ნასვამი და ყვირის) სოპლი ჩამია მგლებს გაუმარჯოს! Ну, давай винца! მატა ციტლი გინო! კოცო! მამაზაგლისა! მატა ციტლი! А то я тебѣ дамъ, скатина!

მამასახლისა. ბატონი ხარ ბატონი ა, მოურავი კატებისა. მობძანდი, შენი ჭიიმე, მობძანდი, პეტრო ივანიჩ! (უვსებს სტაქანს წითელის ღვინოთი და აწვდის) მიირთვი!

პეტრო ივანიჩი. (ართმევს სტაქანს და მერე თან ქოლგის ბოლოს უჩხჩხუნებს გვერდში რუსი-რძალს და თან მამასახლისს). ეს баба ვინ არი, რო храпитъ, а?.. ე, ოკერო, ეს დედაკაცი ვინ არი-მეტკი, რო კრინამს? (მამასახლისა ყალიონს იკეთებს და განგებ ყურს იყრუებს ვითომ არ მესმისო). Я тебѣ дамъ, я тебѣ дамъ მამაზაგლა!.. (ჰსვამს ღვინოს). მატა კიდე გინო! ე, კოცო, скатина! მატა კიდე ციტლი გინო! (მამასახლისა უვსებს სტაქანს—პეტრო სცლის) მატა კიდე გინო! (მამასახლისა კიდევ უვსებს, პეტრო სცლის, მერე აგდებს სუფრაზედ სტაქანს, ცეცხლს უკიდებს პაპიროსს და ბოლთასა სცემს მიწაზედ).

ჩხუბა. (პეტრო ივანიჩს) ბოშოლ პროჩ! გაიხანხლე მაიდამ! (აჯავრებს) „ია თიბე დამ! ია თიბე დამ! მამაზაგლა!“ იტყვი კაცი ღრუბერნატორი მობძანდაო! და იჰ-კი როდი-ღა ახსოვს, რო ერთი ვიღაცა გაქნილი, სოფლი-სოფლად მაწანწალა და სალდათად ნაგდები ფერშალია. (აჯავრებს) „სოფლი ჩამია მგლებს გაუმარჯოს!“ შენმა ხეთქამ, შენ-კი წმინდა წყლისა ხარ და არა ჰყვლეფავ ი უგუნურ ხალხს, აი!.. ახლა ისიც გაიხსენე, შე ვირის ბაკლავ, ი საიდამაც რო გადმოვარდი ხუხლუპანა გოგრასავით შიშლიკანა, ლიპლიკანა და ატაქებიანი სახლები წამოჰქიმე-და!.. ეგრე-და: მგელს მგლობა ერქვა, ტურამ ქვეყანა ამოაგდოო. აი თავი მოგიკვდეს შენ, თავი, პეტრო ივანიჩ! კაი ქედძაღლი ფერშალი შენა ხარ.

პეტრო ივანიჩი (ვითომ არ მესმისო და ციბრუტას) გზირო, გზირო! (აღვიძებს ქოლგის წაკვრით). გზირო, ვირო! Ахти свинья! ცადი, ჩემ ცკენ კურქინი მოკადე და კერი დაკარე, ჩქარა! Ну, живо! (ციბრუტა იმუხნება და თან ნამძინარევს თვალებს ისრესავს ხელით).

მიკიტანი. (ყვირის კარებიდამ) ცხენს ბიჭმა დაუყარა ქერი, ბიჭმა?

დიპიანი გალუსტა. (შემოდის ხელხონჩით და ყვირის) სოფლის კუნწულას გაუმარჯოოოს!

მამასახლისა და ვირ-აქლემა. ვინც მოვიდა—გაუმარჯოს!

გალუსტა. პახ, პახ, პახ, პახ, პახ, პახ! რა დედალი, რა დედალი, რა დანივრული დედალი მოგართვით-და! (უჩვენებს) ერთი აქ უყურეთ, ერთი აქ უყურეთ, ერთი აქ უყურეთ...

გზირი (შემორბის უცბად, ჭირის ოფლში გაწურული და ყვირის). მამასახლისო! მამასახლისო!

მამასახლისა. რა იყო, ბიჭო! რა არი, რა?

გზირი. ნაჩალიკი მობძანდა, ნაჩალიკი! (ყველანი ელდა-ნაცემნი უნებურად იმეორებენ: „ნაჩალიკი“ და ნემსნაჩხვლეტივით სწრაფად იშლებიან ტახტიდამ და გადმოდიან მიწაზედ ფერ-წასულნი. მხოლოდ რუსი-რძალი და გიქო ისევ სხედან გადელზედ მისვენებულნი და ჯერაც ტკბილს ძილში კრუსუნებენ უდარდელად).

მამასახლისა. (გულ-გახეთქილი მოსულს გზირს) სად არი, ბიჭო, სადა?

მწერალი. (ხმის კანკალით და გულის ფანცქალით) სად ჩამოხდა, ბიჭო, სადა?

გზირი. სკოლაში, სკოლაში! დროზე, მამასახლისო, დროზე, ნაჩალიკი გელოდება.

მამასახლისა. (თავში ხელის ცემით) ვიმე, ოჯახო დაქცეულო!.. როგო ვეჩვენო ე მთვრალი კაცი, ხო ის არი—მაშინვე ამაგლეჯავს ა ტიალ მენდალს და ამომიჭირებს პანჩურს. თავად კაცი იგრეც ცეცხლსა ჰყრის ხოლმე, ძაღლს რო კუდი გადუბრუნდეს. (ისარ-ნაკრავსავით ეცემა ტახტის პირზედ შიშისაგან თავ-ზარ დაცემული, აღარ იცის რა ქნას და ბრუვდება თავ-ჩაღუნული. მწერალი და გზირიც სხდებიან იმის შორი-ახლოს და თრთიან შიშისაგან გულ-ანაძგერნი და ელდანაკრავნი. მოსული გზირი-კი დგას ჯოხზე დაბჯენილი და ელის მოუსვენრად ფერ-წასულსა და გარინდებულს მამასახლისს).

ჩხუბა. (ხმის ამოწმენდით) წასვლა სჯობს წამამავლისა, არ დახანება ხანისაო. აქ ჩემი საქმე აღარ არი.

ვირ-აქლემა. (ბარბაცით) აღარც ჩემი საქმეა. (გადიან ორნივ ბორძიკით კარებიდამ)

პეტრო. ივანიჩი (არხეინად ბოლთასა სცემს, პაპიროსს ეწევა და მღერის ბოხის ხმით)

Не шей ты мнѣ, матюшка,
Красный сарафанъ:
Не входи, родимушка,
Попусту въ изъянъ!

გალუსტა. ერთი მეც თავს უშველო დროიანად-და. რა ვიცი, კაცნი ვართ, ხელად აქ არ შემოელეტოს და ერთი ბიაბრუბა არ მაჭამოს და აურზარიანი ყალმაყალი არ დამაწიოს თავზე: აქ რა მაშენიკების სობრანია და ტუტუცხანა გაგიმართავთ, თქვე ვირის ბახალებო და ტრუპუცას გავარდნილებოო. გიქო, გიქო! გიქო, შე ოჯახ-დაქცეულო, გიქო!! (აღვიძებს ხელის წაკვრით) ადე, ოხერო, ადე, ნაჩალიკი მოვიდა.

გიქო. (თვალებს აჭყეტავს და შეშინებული) ვა! ნაჩალიკიო? ინჩეს ასუმ, ტო?!

გალუსტა. დროზე, ოხერო, დროზე ავთრიე, ნუ ხარ ე გამოყეყეჩებული ჰანგალი. ერთი მე ამ უკანა აკოშკიდამ ემეს ვიქ—გადავალ, და შენ ეს ემე—ხონჩით დედალი მომაწოდე, თორე ჩვენი სარსალი მიკიტანი ისე დაუღეჭავად გადაყლაპავს ლეღვივით. და შენც გაიხანხლე აქედან, რო რამ ხათაბალაში არაში გაება. (აძლევს ხელ-ხონჩას გიქოს, ებობღება ფანჯარაზედ და გადადის ხვნეშით. გიქო დგება და მიაქვს ანაბარი მისაწოდებლად)

პეტრო ივანიჩი. Стой, армяшка! (აგდებს ქოლგას ტახტზედ, სწვდება გიქოს ჩოხის უკანა კალთაში, ართმევს ხონჩას და გალუსტას თითის ქნევით). Я тебѣ дамъ, я тебѣ дамъ, свинья, მა-მა-ზაგლა, გიპიანი! აკ მოტანა კატამი პატიქილი უნდა გაკეტებინა და აგარ გაკეტა, скатина! დაგაიცკდა, ოკერო, შენი შილი რო მო... მორჩინე?! Погоди, братъ, კიდი გეკოლება ანტკოპი და ციდლი ტუმნატაც არ ცავალ შენტან.

გალუსტა (ყვირის გარედამ) ვა! ე! ბედროჰ ივანიჩ! ხონჩა ჩუქოი, და!

პეტრო ივანიჩი. (გიქოს) დაჩი კონჩა და დადეკი აკ! (გიქო ართმევს. პეტრო გაზეთის ქაღალდს იღებს თავისის ბრჭყვიალა ღილებიანის შავის პალტოს ჯიბიდამ, ახვევს იმაში მოხარშულს დედალს და მერე გიქოს) ცადი, მიცი კონჩა! (გალუსტას) дуракъ! (აჯავრებს) ვა! ე! კონჩა ჩუქოი-და! Балванъ!.. რა შეგეშინა, შე ოკერო, რატ მინა შენი პარშივი კონჩა! (გიქო აწვდის ხონჩას, იღებს თავის დაირას და გადადის თითონაც ფანჯარიდამ. გალუსტა რაღაცას ბუტბუტებს ფანჯარის გარედ და მიდის). Ну-съ, теперечa я выпю еще красненькаго и маршъ домой! (ქოთამს პალტოს ჯიბეში იჩურთავს, იღებს სუფრიდამ ხელადა-სტაქანს, ისხამს სტაქანზედ ღვინოს, სცლის უცბად და ყვირის). Разъ! (კიდევ ისხამს, სცლის და

---

*) იხ. „ივერია“ №№ 168, 169 და 170.

ვილაცა მ—ს და სდომნია ჯვარის დაწერა. რადგანაც ჯვარის წერის ნებას არ აძლევდნენ, მ—ს მოუტაცნია ეს ქალი. პატრონები ქალისა და პოლიცია ბევრს დაეძებდნენ და ეხლა აღმოუჩენიათ, რომ ამ გაქცეულებს პარიჟში ამოუყვიათ თავი და იქა სცდილობენ თურმე ჯვარის დაწერას.

⁂ მკათათვეში ტფილისის ბაზრებში შემოსულა სულ 370 ტომარა ფქვილი და 7,960 ტომარა ქერი. ამას გარდა თიბათვეში გაუყიდავი დარჩენილა 30 ტომარა ფქვილი, რომელიც 370 ტომარასთან ერთად გაყიდულა გასულ მკათათვეში. აქაური ფქვილი იყიდებოდა ექვს აბაზად, მანათად და უზალთუნად და ოთხ აბაზ უზალთუნადაც ხარისხისადა გვარად. ქერი იყიდებოდა თერმეტ შაურად, სამ აბაზად და სამ აბაზ და ერთ შაურადაც. ამავე თთვეს მოუტანიათ ბაზარში 2,385 ურემი შეშა, რომელიც გაყიდულა ცხრა აბაზიდგან ხუთ მანათამდე ურემი. საჟენობით-კი შეშა იყიდებოდა: თეთრი რცხილა დაჭრილი ოთხ თუმნად საჟენი, სხვა-და-სხვა შეშა დაჭრილივე საჟენი სამ თუმნად და სამ მანათად. ამავე თთვეს ბაზარში ჩამოურეკნიათ 2,720 სხვილ-ფეხი საქონელი. გაყიდულა მარტო 1,800 ცალი, თითო ოც-და-ოთხ მანათიდგან ხუთ თუმან ნახევრამდე. ცხვარი ჩამოურეკნიათ 9,420 ცალი; გაყიდულა 6,470 ცალი, თითო თოთხმეტ აბაზ უზალთუნიდამ ოც-და-ოთხ აბაზ უზალთუნამდე. ამავე დროს თივა იყიდებოდა აბაზიდგან ხუთშაურამდე. ნახშირი ხისა იყიდებოდა მანათიდგან თორმეტ აბაზამდე თითო ტომარა, ქვის ნახშირი იყიდებოდა ფუთი აბაზად. ნავთი ფუთი მანათად და უზალთუნად. აქაური დამღნარი ერბო იყიდებოდა ფუთი თორმეტ მანეთად, რუსეთიდგან მოსული — ფუთი ერთ თუმნად. აქაური კარაქი იყიდებოდა ფუთი თორმეტ მანეთად. თუშური ყველი იყიდებოდა ფუთი შვიდ და ათშაურიდგან რვა მანათამდე. ოსური ყველი იყიდებოდა ფუთი ექვს მანეთამდე. ასი კვერცხი იყიდებოდა ექვს აბაზად; კარტოფილი ფუთი სამ აბაზად; ხახვი ფუთი სამ აბაზად. ქათამი ექვს შაურიდგან ათ შაურამდე; წითელი ლობიო ფუთი ოთხ აბაზუზალთუნიდგან მანეთ და უზალთუნამდე.

⁂ ქართლიდამ გვწერენ, რომ ზოგიერთს სოფლებში წელს თითქმის რთველი სულ არ იქნება, ისეა გაფუჭებული ვენახებიო. მხოლოდ ორიოდე სოფელი გადარჩენილა, სადაც ისეთსავე რთველს მოელიან, როგორც კარგის მოსავლის დროს. მაგალითად, სოფელს დირბში, ფრონის ხეობაზე, საკმაო ღვინო მოვა წელს, რადგან, თითო-ოროლა ვენახს გარდა, ძალიან ასხია ვაზს ყურძენიო.

⁂ სოფ. **წილკანი:** წილკნელები სახელმწიფო მამულში ვცხოვრობთ, მაგრამ იძულებულნი ვართ სხვას ვემსახუროთ. ამ სამსახურის გამო დიდს გაჭირებაში ვართ ჩაცვივნულნი. სასამართლოშიაც ბევრჯელ ვიჩივლეთ, მაგრამ არა გვეშველა-რა. აი თვით საქმეც: ერთად ერთი ნუგეში და ჩვენი მარჩენელი არის „ნარეკვავის“ წყალი, რომელიც უწინ თავისუფლად მომავალა და გზაში ვერავინ გადასდგომია. ამ წყლის არხი, ჩვენდა საუბედუროდ, ისეთს ადგილას არის ჩამოჭრილი (რასაკვირველია, წყლისაგან), რომელსაც ერთი მებატონეთაგანი ჩემულობს. როცა-კი ამ ბატონიანთ დასჭირდებათ ჩვენი თავები, გამოგვგზავნიან მოურავებს და, რაც უნდა გაჭირებული საქმე გვქონდეს, უნდა თავი დავანებოთ და ბატონიანთ სამუშაოზედ წავიდეთ, თუ არა-და, წყალს მოგვიწყვეტენ და ისე ამოგვხუთვენ სულს. მოგეხსენებათ, რომ ზაფხულში გლეხები თითქმის დაუსვენებლივ მუშაობენ ხოლმე, ასე რომ ზოგი მათგანი მუშაობის მსხვერპლი ხდება. თავის საკუთარს საქმეს, როგორც იქნება, მოინელებს, მაგრამ რა ჰქნას თავს ბრუ-დახვეულმა გლეხმა, როდესაც არ ასვენებენ. მაგალითად, ამ ოთხის დღის წინად ბატონიანთგან მოურავი მოვიდა და ის იყო ვემზადებოდით წასასვლელად, რომ ბოქაულისაგან ბრძანება არ მოგვსლოდა. ბოქაული გვიბრძანებდა «ცხვარი-ჭამიაში» სამოცი ურემი გაგვეგზავნა სახელმწიფო ბარგის წასაღებად. ჩვენ, რასაკვირველია, სახელმწიფო სამსახური ვირჩიეთ, ბატონიანთ თავის დროზედ ველარ ვუშველეთ და აი, დღეს მეოთხე დღეა წყალი მოგვიწყვიტეს, ურომლოდაც ლამის სულები ამოგვხუთოს. რაღა ეს გვეჭირებოდა, როდესაც უამისოდაც ძლიერ დავზარალდით წელს: მინდვრის მოსავალი მოგვიცდა, ბაღები სიცხემ გადაგვიხმო და ეს ერთი თთვეა, რაც ჩვენ სოფელში საქონლის ავადმყოფობაც გაჩნდა, რომელმაც ლამის საქონელზე ხელი აგვაღებინოს. გუშინ ჩამოვიდა აქ პირუტყვების ექიმი ბ-ნი ი. მ. მ—კი, ერთი ხარი დასჭრა გასასინჯად, სხვა ავადმყოფი პირუტყვებიც დაათვალიერა და რეცეპტიც მოგვცა.

◆◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

საინგილო, 1 მარიამობისთვე. ზამთრის სუსხმაცა და გაზაფხულის წვიმებმაც დიდი ზარალი მისცა ხალხს: ზოგან ხეხილები გადახმა, ზოგან ყანები გაფუჭდა, ზოგან მოვარდნილმა ხევებმა წალეკა არე მარე. გადარჩენილი ყანები უკვე დაიმკო და გაილეწა ვისაც 20—40 თალარის პურის იმედი ჰქონდა, იმას 5—10 თალარიც ძლივს მოუვიდა. ზოგიერთმა ესეც ვერ აიღო და დათესილი თესლიც არ გამოუვიდა. ყველგან გაიძახიან, რომ ხორბალი ძლიერ დაძვირდებაო და იქნება შიმშილიც გვეწვიოსო. ხორბლის ფასმა ეხლავ აიწია. წინად თუ თალარი (3 კოდი) 4—5 მან. ღირდა, ეხლა იგივე საწყაო 7—9 მანათად გადის. შიმშილი ადვილი მოსალოდნელია, თუ ჩალთუქები და ფეტვებიც წახდა. ამ ნათესებისათვის წყალია საჭირო. უწყლოდ ვერც ფეტვი იხარებს და ვერც ჩალთუქი. ხოლო გაზაფხულის გასვლის შემდეგ აქეთკენ დიდი გოლვა დაიჭირა. მართალია, მკათათვეში ორიოდე დღე სწვიმდა, მაგრამ რას ეყოფოდა გამხმარს მიწას და ჩალთუქების დამსკდარ გუბეებს ეს ცის ცრემლი. სიცხის გამო ხევებიც დაშრა, ზოგმა-კი შესამჩნევად იკლო და ამიტომ აღარც სარწყავი წყლებია. ჩალთუქებისათვის-კი წყალი უფრო ეხლაა საჭირო, რადგან იგი უკვე «დაორსულებულია» (თავთავს იკეთებს). არც ვენახებია სასურველს მდგომარეობაში. ახალ-მოშენე ვენახები დაინაცრა. ძველებზე-კი, თუმცა ნაცარი არ არის, ყურძენი მაინც თხლად ასხია.

ყოველ ამას ზედ დაერთო საქონლის ჭირიც და მრავალი პირუტყვი გასწყდა. ეს ჭირი სხვა-და-სხვა ნაირად მოქმედობს პირუტყვზე: ზოგი ერთ-ორს დღეს ტანში იკერის, იბერება, მერე ასაქმებს და კვდება. ზოგს-კი ყელში უჩნდება რაღაც მრგვალი კვერცხის ტოლა რგოლი, აღარც სჭამს, აღარც დადის და ორიოდე დღეზედ კვდება. ერთ ამ გვარ საქონელს მუცელი გაუჭრეს და ნეხვი სულ გაჰმზევებოდა და გაშრომოდა.

ამ გვარად, როგორც ჰხედავთ, საინგილოდგან სასიამოვნო ამბებს ვერა გწერთ. ხალხი ძალიან დაღონებულია ამდენის უბედურებისაგან და იმას-ღა გაიძახის, რომ ღმერთო, უარესისაგან დაგვიხსენიო. რაღაც სხვანაირი წელიწადი დაუდგათ ინგილოებს ეს წელიწადი, სახელმწიფო ხარჯიც წელს ერთი-ორად მეტი ერთმევათ: კვლავ რვა-რვა მანათს იხდიდნენ, ახლა-კი 15 მანათი და ერთი აბაზი უნდა გაიღონ. ყველა ამას ემატება კიდევ სასკოლო ხარჯი, საყდრის ასაშენებელი და სხ. და სხ.

სოფ. კაკში დღევანდლამდე არსებობდა სასოფლო სკოლა, რომელსაც ინახავდა თავის ხარჯით „ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება“. ეს სკოლა წელს, ვილაც ვითომ და ხალხის გულ-შემატკივარის წყალობით, დაიხურა. ამ სკოლის შენობის შესასყიდავად იმავე გულ-შემატკივარმა გულ-უბრყვილო ხალხს ერთ-ხელად გამოაღებინა 2,000 მან. ფული. წინანდელის სკოლის მაგიერ კაკშივე გაიმართა ერთ-კლასიანი ნორმალური სკოლა, რომელიც აქამდე ალიაბათში იყო გამართული და იქიდგან აქ წარსულ მკათათვეში გადმოიტანეს.

ვინმე კ.

◆◆

ყვირის) **Два.** (კიდევ ისხამს, სცლის და ყვირის) **Три! Довольно!** (აგდებს სუფრაზედ გამოცლილს ხელადა-სტაქანს, იღებს ქოლგას, ხმას იწმენდავს ამოროყინით და გადის კარებიდამ ბარბაცით და სიმღერით). **Не шей ты мнѣ, матюшка, красный сарафанъ...**

გზირი. მამასახლისო! რა დაგემართა, კაცო, ნაჩალიკი მობძანდა და გიბარებს-მეთქი, ვერ გაიგე?

მამასახლისა. (დგება თავის ქქით და დაბნეულად) ნა-ჩა-ლი-კი... ნა-ჩა-ლი-კი... (ცოცხლად) გაიგე, კაცო, გაიგე! როგო ვერ გაიგე! (მწერალი და ციბრუტა დგებიან ტახტიდამ) ჰეეე, ჰა, ჰა, ჰა, ჰა! აწ რა ყოფილა, რა ყოფილა, კაცებო, ე ოხერი შიში, თქვენ გამარჯვობას! არ დაიჯერებთ: იგრე მოკვდა ე ღვინო ა მუცელში და იგრე დანდობილა გამომინელდა, რო იტყვი ა კაცს თავი დღეში ღვინი სულიც-კი არ მიჰდენიაო!

მწერალი. (სიხარულით) მეც, გამოფხიზლდა, კაცო, მეც!

ციბრუტა. (კბილების ღრჭენით) მეც, კაცო, მეც! აი დიდება შენთვი, ღმერთო!

მამასახლისა. ჰა, ჰა, ჰა, ჰა! რა ყოფილა მართლა ე ტიალი შიში, თქვენი ჭიიმე! იგრე გონს მოველ და მოვცოცხლდი, რო, რა ვიცი, აგრე მგონია: ეხლა დავიბადე საიდღამაც-მეთქი, და ი დღევანდელი ჩვენი კამპანიისა ხო აღარა მახსოვს რა... (მწუხარედ, თავის ქნევით) ჰეეე, ცხოვრება, ძმაო, ომია. თავს რა არ გადამხდომია და რა ცეცხლ-ნავთში არ გამომივლია, მაგრამ აბა მოდი რა გაეწყობა, როდესაცა რომა.. როდესაცა რომა ჭირ-უნახავად კეთილს ვერავინ მოიმკის. (უცბად) ბიჭო, სად ჩამოხდაო, რა ჰთქვი წელან?

გზირი. სკოლაში.

მწერალი. (სახის ღმეჭით) რითვინ მოლეტებულა, ი ოჯახ-დაქცეული!

ციბრუტა. ღმერთმა ნუ იცის იმი თავი! ლამაზად დროჰ ვატარებდით და სუ ამოგვაშხამა და გაგვიმწარა ტკბილი ლხინი. არა, ი სახ-კარ ამოსაწყვეტი, რაღა ეხლა მეეთრეოდა, როცა ჯერ იგრევ...

მამასახლისა. (ციბრუტას მრისხანედ) დაიცა! ჩაიწყვიტე ე კრინი! (თავისთვის) ვაიმე! აბიდა არ მომცეს: რათ დაიგვიანეო. ბიჭო, დიდი ხანია, რაც მოხველ?

გზირი. არა, მამასახლისო, დიდხანს არ გაუვლია, ნუ გეფიქრება უთხარ: მეორე სოფელში ვიყავი-თქო და თუნდა ესაც არ იყოს, უჩეტელთან გაერთობა ლაპარაკში, მინამ მიალთ.

მამასახლისა. სუდიები უპრავენლიაში არიან, თუ იცი?

გზირი. რას ამბობ, კაცო, უპრავენლიაში რაღასა ჰქვიან, მთელი სოფელი შაიძრა და ერთმანეთს ეცა, ერთი გამოიხედეთ კარში რა ამბავიადა!

მამასახლისა. (მოუთმენლად) რა? ბიჭო, რა? რატო ჩვენ ვერა გავიგეთ-რა?

გზირი. ვერ გაიგეთ იმითვინ, რო საცა ე საქმე მოჰხდა, იმ უბანმაც ეხლა შაიტყო და ჯერ ნაჩალიკის ყურსაც არ მოჰხსენებია.

მწერალი. რა საქმე მოჰხდა, ბიჭო, რა?

გზირი. რა საქმე-და ის საქმე, რო წუხანდელი ღვინისაგან გათანგული სუდია-ეჭტატე ჯერაც ფეხზე ვერა დგება და სახლიდამ გარეთ არ გამოსულა, თორე, აბა თქვენგან არ მიკვირს, თქვენ იმას აქ როგო მოუსწრობდით, და ჩვენი მეორე სუდია-მალხაზი-კი მოუკლაავთ.

ყველანი. (ერთ-ხმად თავ-ზარ დაცემულნი) ჰა! ვის მოუკლავ? კაცო!

გზირი. (გულგრილად) რა ვიცი, ზოგნი რას ამბობენ და ზოგნი რას.

მწერალი. (მოუთმენლად) სად მოუკლავთ, ბიჭო, სადა? სადა? (უბა-დაღებულები და თვალებ-დაბრეცილები შეჰყურებენ გზირს).

გზირი. წუხელ სუდიები ქურდიაშვილთან იყვნენ დაპატიჟებული ვახშმად, მეც იქ ვიყავ. მამლი-ყიულამდინ ვისხედით და ვსვამდით ჯამებით კახანაურს. ბოლოს, თქვენ ხართ ჩემი ხარ ბატონი, დავიშალენით და წაველ-წამოველით ყველა თავ-თავი სახლისაყენ. ცხონებული მალხაზი გოჭიკუდას ცოლთან წასულა, შაულეწნია ქოხის კარები, შასულა და მოჰწოლია გვერდით ა მასკვლავივით დედაკაცს. სწორედ ამ დროს—პუპლუც! გოჭიკუდაც მოსულა ლაგოდეხიდამ. (სიტყვის ნაცვით) მოსულა და ახლა რა უქნია ი ქედ-ძაღლს-და: ცოლისთვინ მალხაზის ხანჯლით ბატკანივით ყელი გამოუჭრია, მთვრალი მალხაზისთვინ თოკი-ნაწყვეტი წაუჭირებია ყელში და კატასავით დაუხრჩვია და გადაქაჯულა საიდლაც. ახლა ზოგნი კიდე ამას ამბობენ, რომ მითომ გოჭიკუდას ცოლი არ დაჰნებებია მალხაზის და თითონ მალხაზის მოუკლავ თავი ხანჯლითაო.

მამასახლისა. (გულის მღელვარებით) კარგი და ი მალხაზი ვინ-ღა მოკლა?

გზირი. მალხაზი კიდევ ღვინის ღებინებას დაუხრჩვიაო. ი ლოგინში, სადაც ეხლა ი დასახიჩრებული მიცვალებულები აწყვიან, ჯერაც-კი ტბასავითა დგა მალხაზის პირიდამ ნარწყევი და გოჭიკუდას ცოლის სისხლი.

მწერალი. ოოვე! ოოვე! ე რა მოჰსვლიათ ი საწყლებს.

ციბრუტა. (გაოცებით) კაცო-და, შენა ჰნახე შენი თვალით?

გზირი. ვნახე, კაცო, მარა. მაშ რა მალაპარაკებს, გიჟი ხო არა ვარ.

მამასახლისა. დიდება შენთვინ, ღმერთო! ე შუა დღე გადავიდა და რატო ჩვენ ვერა გავიგეთ-რა აქამდინ?!

გზირი. რაჰ გაიგებდით, კაცო, აკი ვამბობ: ჯერ იმ უბანმაც ეხლა შაიტყო მეთქი. გოჭიკუდას ცოლს რო ძუძუთა-ყმაწვილი არა ჰყოლოდა, ჯერაც არავის ეცოდინებოდა. თურმე ჩხავის ე მაჰწყვეტით ბაღლი ი აკვანში და იკლებს ტირილით იქაურობას. მეზობლიანთ ნანიკოს შეჰკლოდებია და უთქვამ: წავიდე ერთი ვნახო, რას აწივლებს ი საწყალ ყმაწვილს და არ მოაწყუებს ძუძუს ი გასაგლეჯიო. შასულა და ის ნურც ჩემმა მტერმა ნახოს, რა სანახავიც იმას იქ უნახავ. იგეთია ეხლა ი გოჭიკუდას ეზო-ყურე, რო ზღვასავითა ღუმღუმებს ხალხით და ცამდის აისმის გუგუნით იმათი მითქმა-მოთქმის გაჰტიბუგუ.

მამასახლისა. (ამოოხვრით და თავის ქნევით) უჰჰ! ჰა-ჰა-ჰა ჰა! ე რა გაიგე, თქვენი ჭიიმე, რა!.. ოვაჰ! ოვაჰ! საწყალი მალხაზი, აფსუს ვაჟკაცო დაკარგულო!.. აბა, ბიჭებო, დროა, დრო, თქვენ გეთაყვანეთ. წავიდეთ, საქმეს ნუ წავიხდენთ. ჯერ ერთი ე ჩვენი ბოლმა მოვიგდებინოთ თავიდამ და მერე ვილაპარაკოთ ამაზე.

მწერალი. წავიდეთ, წავიდეთ! (რუსი ძალა ცალს ფეხს იწვდის სუფრისკენ და ხვრინავს კედელზე მისვენებული)

მამასახლისა. აბა, ციბრუტავ, შენ ერთი ხელად შენებურად დატრიალდი, შამოურბინე სოფელს: ნაჩალიკის პოპოშნიკი მობძანდა-თქო და მოკრიფე პური, ღვინო, ქერი, ქათმები და წაიღე ჩვენსა — გამოგვადგება. ჰაიდა გეთ! (ციბრუტა გადის. მამასახლისა იღებს ჯიბის სარკეს, საყელოს ისწორებს სარკეში, თვალ-წარბებზედ ხელს ისვამს, იგრეხავს ულვაშებს და მერე იდებს ისევ ჯიბეში) აბა, ბიჭებო, აბა წავიდეთ, თქვენი ჭირიმე, წა!

გზირი და მწერალი. წავიდეთ, წავიდეთ! (გადიან)

რუსი-რძალა. (მარტოდ დარჩომილი ძილში ვიღაცას ეხნუბება ფეხის ქნევით). ბოშოლ! ბოშოლ ჯორთუ!.. ნი ლაჯუ—ნი ფაიდუ! ნი ლაჯუ—ნი ფაიდუ!! მოკვდი! გაქერ! ნი ფა-იდუ!

დ. მაჩხანელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საისტორიო და საარხეოლოგიო აღწერა

ყვირილის ხეობისა.

(შემდეგი *)

მონასტრის ახლოს მიმავალი გზა-ტკეცილი სულ ყვირილის პირას მიჰყვება და ისე მიხვალთ საჩხერემდის, რომ ერთს ვაკეს ან ჭალას ვერ შეხვდებით. მგზავრის თვალი, აქეთ-იქით აღმართულსა კლდეებს გარდა, ვერას დაინახავს საჩხერემდე. ამ კედელივით აღმართულ კლდეებში, თვალ-მიუწვდენელ ადგილას მოსჩანს ოთახები კარ-ფანჯრებითა და ქვევით კლდეში მიბჯენილ ხელის მოსაკიდებლებით, ეტყობა ძველს დროს, როდესაც ჩვენს ქვეყანას მტრები ჰყვანდა, ხალხს ამ გამოქვაბულ კლდეებში უცხოვრია და აქ დაუფარავს თავი.

მიდიხარ ამ გზაზე და სულ ამ კლდეების ფიქრში ხარ. უცებ ერთ პატარა ბილიკს შეივლი და თქვენს თვალს მშვენიერი სურათი დაეხატება თვალ წინ: გაშლილი, ვეებერთელა, თვალთ-უწვდენელი ჭალა, ჩრდილოეთ-დასავლეთით აღმართულ ტყით შემოსილი მაღალი სერები, სამხრეთ-დასავლეთით ნაკვეთ-ნაკვეთად დასერილი სოფლები და თან გარშემორტყმული მაღალი მთა გორაკები. შუაზედ გველის მსგავსად დაკლაკნილი ყვირილა და ზედ მრავალ-თვალიანი წისქვილები, სულ კიდევ ზევით ორ სართულიანი ქვითკირის სახლები, რომლებსაც დარაჯის მსგავსად გადმოჯგიმეია ძველი ციხე და ამაყურად გადმოსჩერებია თავის დაობლებულ არე-მარეს, თითქო ეუბნებოდეს: „ვისაც ჩემი სიყმაწვილე არ გინახავთ, ღმერთმა ჩემი სიბერე ნუ გაჩვენოთო“. ეს მშვენიერი სურათი გასლავსთ საჩხერის ჭალისა, რომლის ერთ მხარეზედ მდებარეობს საჩხერის ბაზარიც. სწორედ რომ მშვენიერს სურათს წარმოადგენს საჩხერე. ცოტა ზევით, ციხის მაღლობზედ რომ შებრძანდეთ და იქიდგან გადმოიხედოთ, თქვენს თვალ-წინ საკვირველი სანახავი ჭალა გადაიშლება.

„სადაც მთათ წვერნი ცასა კიდეს გაჯინებიან,
ველნიცა მარად ყვავილებით იმოსებიან
და მათზედ რბიან წალკოტ შუა წყალნი მცინარნი,
აქ სიყვარულსა სტკენენ მარად ბულბულნი წყნარნი“.

დ. საჩხერის მკვიდრ მცხოვრებლებს შეადგენს ძველიდგან უძველესი გვარი თ. წერეთლებისა, რომლებიც დამკვიდრებულან იმერეთში მეორე საუკუნის დამდეგს. მეფე ადარნასეს დროს დაღესტნიდგან გადმოსულან სამი ძმა და დასახლებულან იმერეთში. ერთ იმათგანს შეუძენია მრავალი მამული, სახელი და დიდება და თავადის წოდება. 1701 წელს ერთს იმათგანს დარჩენია ორი ძე: დავითი და პაპუნა, სხვები-კი ამოწყვეტილან. დავითი სუსტი და ავადმყოფი ყოფილა, ხოლო პაპუნა-კი მარდი, მამაცი და ტანგრული. მაგრამ პაპუნას დაუტოვებია ეს ქვეყნიური სიამოვნება და მონასტერში ბერად შემდგარა. ამ გვარად ისპობოდა თ. წერეთელთა გვარი, რომ მეზობლად მცხოვრებ თავად აზნაურობას არ ეთხოვნათ პაპუნასათვის, ბერობას თავი დაანებე და ცოლ-შვილიანობას მოეკიდეო. არა ერთჯელ და ორჯელ სთხოვეს თურმე პაპუნას ცოლი შეერთო და ბერობისათვის თავი დაენებებინა. ბოლოს პაპუნა დათანხმებულა ცოლის შერთვას და თავისი სურვილი გამოუცხადებია იმ დროს განთქმულ თავადის აბაშიძისათვის, რათა მას ნება მიეცა იმის ქალიშვილზედ ჯვარის დაწერისა. თ. აბაშიძის გვარი იმ დროს შესანიშნავი გვარი ყოფილა და ერთ იმათგანს 1701 წელში იმერეთიც უმართავს. თ. აბაშიძემ პაპუნას, რასაკვირველია, უარი შემოუთვალა, რადგან აბაშიძე წერეთელს ქალს როგორ მისცემსო, იმისთანა წერეთელს, რომელსაც ერთი ციხეც არა აქვს აგებულიო. ეს პაპუნას ძლიერ სწყენია, იმ წამსვე აუგია ციხე და შეუთვლია: აბა, მობრძანდით და ნახეთ, მაქვს თუ არა ციხეო, მისულან, უნახავსთ ციხე, გახარებიათ, მიუცია აბაშიძეს თავის ქალი ცოლად და მას დღეს აქეთ ციხისთვის უწოდებიათ „მოდი ნახეთ“, ანუ, როგორც ხალხი ეძახის დღეს, „მორდინახეს ციხეო“. ეს, რასაკვირველია, ხალხური გადმოცემაა, მაგრამ, როგორც საბუთებიდგან სჩანს, ეს ციხე ეკუთვნოდა ფალავანდიშვილებს და იმათგან მერე შეუსყიდნიათ. „მორდინახეთ“ იმიტომ უწოდებენ, რომ თავის სიმაგრითა და მიუვალის ადგილებით მტერს თითქო ეუბნებოდა: მოდით და ნახეთ, რაც კაცი ვარო *).

დღეს ამ ოდესმე შესანიშნავ ისტორიულ მოწმისა მარტო-ღა ხავსით შემოსილი კედლები გადმოსჩერებია საჩხერეს. რამდენ ისტორიულ გარემოებათა მოწამენი იქნებიან დღეს ეს დიდებულნი ძველის ციხის კედელნი, რამდენ გულ-დასათუთქავ ამბებს გვიამბობდნენ, რომ ენა ჰქონდესთ...

...მაგრამ რათ მინდა მის მოგონება:
რაც რომ ყოფილა, წასულა და აღარ იქნება;
რაც ფიქრს აწუხებს, გულს აკვნესებს და სულსა სტანჯავს;
რაც რომ მდიდრულსა ფანტაზიას და ზღაპარსა ჰგავს?!

საჩხერეში მთელი ვაჭრობა ურიებისა და სომხების ხელშია, ქრისტიანებს-კი სულ უმცირესი ადგილი უჭირავსთ. ერთს წერეთელთაგანს უწინდელს დროში უყიდნია ერთი ურია, მოუყვანია საჩხერეში და დაუსახლებია. დღეს-კი აქ ურიები რამდენიმე ასი მოსახლე იქნება. იმათი ბეგარა ბატონის წინაშე ისა ყოფილა, რომ, როდესაც თ. წერეთლებს ვინმე ძღვენს მიართმევდა, ან რაიმე ღონისძიებით ასიამოვნებდა, მაშინვე გაატანდა რომელსამე ვაჭარ ურიასთან მოურავს და შეუთვლიდა: „შაბათა, ამ კაცს ერთი კარგი საჩოხე, როგორც თვითონ ამოირჩიოს, გადაუჭერი და გაატანეო!“ ამ გვარ საჩოხეს შეიძლება წელიწადში რამდენჯერმე გადააჭრევინებდნენ, რომელიც თითქმის ყოველ ბეგარს აღემატებოდა. სხვა ბეგრისაგან ურიები თითქმის სულ თავისუფალნი ყოფილან.

როგორც ყველგან, აქაც ურიებს პირველი ადგილი უკავიათ საჩხერეში, ბაზრის თავში სცხოვრობენ. იმათ მეზობლად, თითქმის ერმანეთში არეულნი არიან, სომხობა სცხოვრობს. სიბინძურითა და სახლების შეხედულობით იმათი მდგომარეობა ერთი-ერთმანეთისასა ჰგავს. ერთის შეხედვით ვერც-კი გამოიცნობთ, რომელი ურიისაა და რომელი სომხისა. ქუჩები საჩხერეში საშინელი ვიწრო და უსწორ-მასწოროა. ერთი დუქანი წინ არის, მეორე უკან, მესამე თითქმის სულ ქუჩაშია და სხვანი. არის საჩხერეში ერთ-კლასიანი სახალხო სკოლაც, რომელშიაც მასწავლებლის მეოხებით სწავლა კარგად და ნაყოფიერად მიდის, რისაც დიდი კმაყოფილია იმისი დამფუძნებელი საზოგადოებაც. არის აქ ერთი პოლიციის ბოქაული და მომრიგებელ-სასამართლოს განყოფილება.

დ. საჩხერიდგან ორის საათის სასიარულო იქნება შესანიშნავ ჯრუჭის მონასტრამდე. რაჭის საზღვრის ახლოს შორაპნის მაზრაშივე ერთს ამაღლებულს გორაკზედა, თითქმის უდაბურს ტყეში, წამოჯგიმულია ძველი მონასტერი ჯრუჭისა. მშვენიერი ადგილ-მდებარეობა აქვს ამ მონასტერს. თითონ მაღლობს გორაკზედ სდგას, ქვევით გადასჩერებია მჩქეფარე მდინარე ჯრუჭულას და ბანს აძლევს იმის მომხიბლავ ჩხრიალს, რომელსაც იქვე ერთვის პატარა ღელე წყალ-ფენილა.

მეორე და მესამე გვერდით აღმართულან თვალ-უწვდენელი მაღალ-ხევებიანი მთა-გორაკები, რომლის ერთი შეხედვა გაგახსენებთ პოეტის სიტყვებს:

ბუმბერაზ მთები მდუმარეთ ცათამდის აყუდებულნი
სხედან ვით დევნი სპეტაკის ყინულ გვირგვინით შემკულნი!
მათ კლდოვან გვერდთა შავათა ღრუბელნი ზედ დასწოლიან
და მრისხანებით ქვეყანას წარღვნასა ემუქრებიან.

(დასასრული იქნება)

სასამართლოს მატიანე

სტავროპოლის ოლქის სასამართლო

(დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის მოკვლის საქმე)

(შემდეგი *)

1888 წლის 5 ოქტომბერს სტავროპოლის საპატიმროს ზედამხედველმა იაკუბოვიჩმა, რაკი უკვე იცოდა ივანე ხოხლოვის პროკურორთან ნალაპარაკევი სტრეპეტოვის ავაზაკობის ამბავი, მოიწადინა ამ ამბის ნამდვილად შეტყობა, მიასწრო ხოხლოვსა და სტრეპეტოვს ქაღალდის თამაშობაზედ, ვითომ და ორივეს დასჯა მოინდომა და ამიტომ ესრედ-წოდებულ სიდუმლო საკანში № 1 ჩასვა ორივენი ერთად. ამასთან ხოხლოვს მიანდო, რომ სტრეპეტოვს ლაპარაკი ჩამოუგდე დესტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკ ყიფიანის მოკვლის შესახებო. იმავე საღამოს იაკუბოვიჩმა მიიწვია თურმე თავისი მწერალი ივკი და ციხის მოთვალყურე გულევსკი, წავიდნენ სამნივე № 1 საკნის ფანჯარასთან და აქ სამივემ მართლაც გაიგონეს თურმე სტრეპეტოვის ლაპარაკი, რომელმაც ღალატისა არა იცოდა-რა და გულაც გაიმეორა ყიფიანის მოკვლის ამბავი დაწვრილებით ისევე, როგორც ზემოდ იყო ხოხლოვის მიერ ნაამბობი. ასე რომ თუმცა გრიგოლ სტრეპეტოვმა სასამართლოს გარეშე აღიარა, რომ მე და აწ უკვე გარდაცვალებულმა თევდორე შულგინმა მოვკალით ყიფიანი გასაძარცვავად და ამ საქმეშივე გვეხმარებოდა შულგინის და პრასკოვია, მაშინ ბრონიწკისთან მოსამსახურედ მყოფიო, მაინც გამომძიების მიერაც დასაბუთებულია, რადგან მოწმეთა ჩვენებანი გლეხის ივანე ხოხლოვისა, სტავროპოლის საპატიმროს ზედამხედველის იაკუბოვიჩისა, მეთვალყურის ტიმოფეი გულევსკისა და მწერალ ვასილი ივკისა ერთმანეთში არაფრით განსხვავდება.

იმათვე ერთ-ხმად განაცხადეს, რომ, როცა სტრეპეტოვი მკვლელობის ამბავს მოუთხრობდა ხოხლოვს, უბრალო ქადილსა და თავ-მოსაწონებელ სიცრუეს სრულიად არა ჰგავდა, ეჭვი არავის ებადებოდა, რომ სტრეპეტოვი შეიძლება ტყუილს ამბობდესო. ეჭვი ვერ შეიტანდა ადამიანი იმაზედაც, ვითომ რად უამბობდა უცხოსავე სტრეპეტოვი ხოხლოვსაო, რად აცოდინებდა იმ დანაშაულს, რომლის გამოც სისხლის სამართლის მიერ დაისჯებოდაო, რადგან, როგორც უკვე ცნობილია, საპატიმროებში პატიმარნი ძალიან გულ-ახდილნი არიან ერთმანეთთან, მეტადრე მაშინ, თუ მეგობრობაცა აქვთ ერთმანეთში, და არაფერს უმალავენ ურთიერთს, კარგად იციან, რომ გამცემი და მოღალატე, ერთი და ერთი მიღებულის წესით, თვით ტუსაღების მიერვე დაისჯება სასტიკად.

ამას გარდა სტრეპეტოვის ნაამბობი სხვა მხრივაც არის დასაბუთებული. ეს ნაამბობი ყოვლისფრით შეეფერება გამომძიების მიერ აღმოჩენილს ვითარებას საქმისას და ეს ვითარება-კი ისეთია, რომ მარტო ოდენ გამომძიებელსა და გამომძიებულის მცოდნე კაცს თუ ეცოდინებოდა დაწვრილებით. რაღა თქმა უნდა, სტრეპეტოვი ასეთი კაცი არ იყო და ამიტომ იმ აზრს უნდა დავადგეთ, რომ მართლაც სტრეპეტოვი ერეულა ამ საქმეში და ავაზაკობაში პირადი მონაწილეობა მიუღია. მოწმეთ იაკუბოვიჩმა, სტავროპოლის პოლიცმეისტერის თანაშემწემ ზალევსკიმ, პოლიციელმა ლუზანოვმა და აგრეთვე სხვებმა განაცხადეს, რომ მოკლულ სერგეი ზადუნაისკისა და თევდორე შულგინს დიდი მეგობრობა ჰქონდათ ერთმანეთშიო. ზადუნაისკივე დიდი ამხანაგი იყო ხოხლოვისა და, ამას გარდა, გრიგოლ სტრეპეტოვი არამც თუ დაახლოვებით იცნობდა თევდორე შულგინს, არამედ წინად იმასთან ერთად სცხოვრობდა და მათ შორის ნაცნობობა არ მოსპობილა აგრეთვე ყიფიანის მკვლელობის შემდეგაცა. ამ უკანასკნელს გარემოებას ის ამბავიც ასაბუთებს, რომ სტრეპეტოვს თევდორე შულგინის პალტო გაუყიდნია, როცა ეს უკანასკნელი, 1888 წლის გაზაფხულზედ, ავად გამხდარა და ფული დასჭირებია. ამასთან დადგენილია ისიც, რომ 1888 წლის გაზაფხულზედვე საპატიმროში დაჭერილი სტრეპეტოვი დაახლოვებია ივანე ხოხლოვს და ხშირად ერთად უნახავთ.

გამომძიებამვე დაადგინა, რომ როგორც თვით თევდორე შულგინი, აგრეთვე მთელი იმისი ოჯახი ცუდის ყოფა-ქცევისანი ყოფილან: შულგინის მამა რაღაც ავაზაკობისათვის ციმბირშია გაგზავნილი; უფროსი ძმა იმ გამომძიების დროს გარდაიცვალა, რომელიც იმას ბრალად გაძარცვასა და ქურდობასა სდებდა; უმცროსი ძმა ივანეც, 17 წლის უმაწვილი, არა ერთხელ დასჯილა ქურდობისათვის; დედა, ვასილისა შულგინა, პოლიციის მიერ ცნობილია, ვითარცა უზნეო დედაკაცების მობინადრე და ქურდების მფარავი; თვით თევდორეც არა ერთხელ ყოფილა სამართალში მიცემული სხვა-და-სხვა ავაზაკობისათვის და სულ უკანასკნელად განთავისუფლებულა 6 ოქტომბერს 1887 წლისას, ყიფიანის მკვლელობამდე 18 დღით ადრე, სტავროპოლის საპატიმროდგან, სადაც დაჭერილი ყოფილან ოლქის სასამართლოს განაჩენისამებრ ისა და სერგეი ზადუნაისკი ზიზერდოვის დუქნის გაქურდვისათვის; დასასრულ, თევდორე შულგინის და პრასკოვია თუმცა პირადად სისხლის სამართალში არასოდეს ყოფილა მიცემული, მაგრამ იმის შესახებ გამომძიების მიერ დადგენილია შემდეგი შესანიშნავი და საყურადღებო გარემოება: პრასკოვია სხვა-და-სხვა ალაგას მსახურობდა თურმე მოსამსახურედ, იქნებოდა რამდენსამე ხანს, შემდეგ უეცრად რაღაცას მოიმიზეზებდა, ჯამაგირს იღებდა და გადიოდა. ამას შემდეგ იმ სახლში, რომელშიაც პრასკოვია მსახურებდა, ქურდები და ავაზაკები მიცვივდებოდნენ თურმე. ასე დაჰმართებია, სხვათა შორის, ტაინი სოვეტნიკის ქვრივს სკაკოვსკის, რომლის სახლსაც, მოსამსახურე პრასკოვია შულგინის წასვლის შემდეგ, ღამე ორჯელ დასცემიან ავაზაკები და მეორეზედ დამბაჩით დაუჭრიათ ახალი მოსამსახურე დედაკაცი სკაკოვსკისა, ეკატერინე დიმიტრიევი. ამ თავდასხმაზედაც ავაზაკებს ვერა გაუტანიათ-რა, რადგან ჩოჩქოლსა და ალიაქოთზე ხალხი მოცვივნილა და ავაზაკნი იძულებულნი ყოფილან გაქცეულიყვნენ. ასევე დამართებია პრასკოვია შულგინის გასვლის შემდეგ გენერალ პოპოვსაც. დასასრულ, ასევე მოხდა ბრონიწკის სახლშიაც სადაც პრასკოვია ჰმსახურობდა და არა ერთხელ ყოფილიყო თავის ქალბატონის მიერ გაგზავნილი განსვენებულ ყიფიანის სადგომში. 1887 წლის 17 ოქტომბერს პრასკოვიამ ავადმყოფობა მოიმიზეზა, ბრონიწკის ჯამაგირი გამოართვა და წავიდა თურმე დედასთან. განა აქ საფუძველი არა აქვს ადამიანს იფიქროს, რომ ეს ავადმყოფობა ტყუილი მიზეზიაო, რადგან სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვასთვის ბევრ ნაირი მიზეზი დაუსახელებია პრასკოვიას გასვლისა, ერთი მეორის წინააღმდეგი? ამას გარდა, მოწმე აგრაფენა იუნოშევისამ სთქვა, რომ, მოკლეს თუ არა ყიფიანი, ჩვენ მაშინვე ფიქრში გაგვიარა—ამ მკვლელობაში თევდორე შულგინსაც უნდა ედოს წილიო, და ამ ფიქრს საფუძვლად ის ჰქონდა, რომ მკვლელობა მას შემდეგ მოხდა, როცა პრასკოვიამ ბრონიწკებს თავი დაანებაო.

სტავროპოლის პოლიცმეისტერის თანაშემწემ ზალევსკიმ გამოაცხადა, რომ ყიფიანის მოკვლის ეჭვი მეც თევდორე შულგინზე შევიტანე, მკვლელობის რვა დღის შემდეგ სახლი გავუჩხრიკე ამ კაცს და 30 მან. ფული ვუპოვნე. რიგიანი პასუხი ვერ მომცა, თუ საიდგან ეშოვნა ეს ფულიო. იმასვე აღმოაჩნდა ლეფოშის ლევოლვერი. ამ უკანასკნელს გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა, თუ მოვიგონებთ სტრეპეტოვის სიტყვებს, რომ ავაზაკობის ჩადენის ღამეს შულგინს რევოლვერიცა ჰქონდა თანაო, და აგრეთვე იმ ამბავს, რომ მოკლულის საწოლს ახლო ეგდო იმავე ლეფოშეს სისტემის გულა. დასასრულ, იმავ ზალევსკის საეჭვოდ ეჩვენებია ის ამბავი, რომ შულგინები, რომელთა სახლიც არა ერთხელ გაჩხრეკილა, პოლიციას ჩვეულებრივ გინებითა და უკადრისად უხვდებოდნენ და იმ დროს-კი თუმცა აღელვება ეტყობიათ, მაინც ძალიან თავ-დაჭერილები ყოფა-

---

*) იხ. „ივერია“ № 168 და 170.

*) ეს ცნობები თ. წერეთლების გვარტომობაზე ჩვენ ვიპოვეთ ერთ ნაგლეჯ წიგნში, რომელიც რუსულად იყო დაბეჭდილი და რომელიც უპოვნიათ თ. ნ. წერეთლის წიგნებში. ამ წიგნს არც თავი აქვს და არც ბოლო, მხოლოდ ერთ ადგილას აწერია „პ. იოსელიანი“, სტატიის ბოლოში.

ავტ.

*) იხ. „ივერია“ №№ 65 და 67.

ლან და უკადრისი არაფერი უკადრებიათ-რა პოლიციისათვის, წინააღმდეგობა არაფრით გაუწევიათ. ამ გაჩხრეკიდგან რამდენისამე დღის შემდეგ თევდორე შულგინი უეცრად მიჩქმალულა სადღაც ქ. სტავროპოლიდგან და იმის მახლობლებს დაურწმუნებიათ მოწმე ზალევსკი, რომვითომ თევდორე სოფელ სანდატში წავიდა სამხედრო ბეგარის გადასახდელადაო. ცნობები შეუკრებიათ და აღმოჩენილა, რომ შულგინი იმ სოფელში არა ყოფილა.

(შემდეგი იქნება)

◆◆

დეპეშა

10 აგვისტო

ნიჟნი-ნოვგოროდი. ჩაის მუშტარი ნაკლებად არის, ბევრი დარჩა გაუყიდველი ძველი ჩაი. კირტიდამ შემოიდა ბაზარში 9,000 ყუთი ჩაი, ხან-კო-უსიდამ—54,000, შავი ჩაი—51,000, მწვანე—90,000 ყუთი. შავი ჩაი გზაში დარჩენილა პერმსა და ტიუმენში 25,000 ყუთამდე. უფრო კითხულობენ შუათანა და მაღალ ღირსების ჩაის; ამისთანა ჩაი თითქმის სულ დაიყიდა. შუათანა ჩაი შარშანდელზე 8 მანათით იაფად იყიდება თითო ყუთი, მაღალის ღირსებისა — 5 მანათით. კიახტის ჩაი ყუთი 140—150 მან. გაიყიდა. დაბალ ჩაის არ კითხულობენ. ფასიც იაფია 10—15 მანათით ყუთზე. შავის ჩაის ფასები ჯერაც არ გადაკვეთილა. რაკი ბევრია მოსული, იმედი აქვთ იაფად ვიყიდოთო. გამყიდველები უკვე ზარალობენ ყუთზე თითო თუმნამდე.

11 აგვისტო

პეტერბურგი. გუშინ კრასნოე-სელოში უმაღლესი აღლუმი იყო ჯარებისა. აღლუმს შემდეგ ხელმწიფე იმპერატორის წინაშე წარსდგნენ სამხედრო სასწავლებლების უფროსის კლასების მოსწავლენი. ხელმწიფე იმპერატორმა ჩაუარა იუნკრების რაზმებს და ზოგს კეთილ ინება და ელაპარაკა; შემდეგ ოფიცრობა მიულოცა, წელს ოფიცრად გამოსულა 1022 კაცი. გუშინ ჯარები, რომლებიც ბანაკად იდგნენ კრასნოე-სელოში, წამოვიდნენ თავიანთს სადგომებში.

პეტერბურგის ბირჟა, 8 მარიამობ.

	მყიდველნი ჰყავს.		გამყიდველნი ჰყავს.		გაყიდულია.	
	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	—	„	—	„	7	64
ტამოჟნის კუპონები	153		—	„	—	„
მანათიანი ვერცხლის ფული	—	„	1	12	—	„
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	264¼		—	„	—	„
—მეორისა	—	„	—	„	247½	
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა	—	„	—	„	—	„
ქუთაისის ბანკისა	—	„	—	„	—	„
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	—	„	—	„	—	„

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავ ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

იბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს კვალზე გემები.

განცხადებანი

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთ უმორჩილესად ვაცნობებ, რომ ამა მდგომარე 1889 წელს სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებლის პირველს განყოფილებაში ოც-და-თექვსმეტი ვაკანსიაა თავისუფალი. მეორეში, მესამეში და მეოთხეში მხოლოდ სამ-სამი, ოთხ-ოთხი შემთხვევითი ვაკანსია იქნება მოსალოდნელი. ვისაც ყმაწვილის მიბარება სურს ხსენებულს სასწავლებელში, თხოვნა სკოლის ინსპექტორის სახელზე უნდა შემოიტანოს 20 აგვისტოდგან 1 სექტემბრამდე და თან წარმოადგინოს შემდეგი: წლოვანების მოწმობა, მოწმობავე თავად-აზნაურობისა, ანუ ქუთაისის საზნაურო ბანკისა გამგეობისა, რომ მოსწავლის მშობელნი ბანკის დამფუძნებელ თავად-აზნაურთაგანნიარიან. ქუთაისის გუბერნიის ყოველ მაზრის თავად-აზნაურთ უფლება აქვთ სენაკის სასწავლებელში ყმაწვილთა მობარებისა. სახელ-მეორო ეგზამენები დაიწყება 25 აგვისტოდგან და გაგრძელდება 29-მდე, სწავლა-კი 1 სექტემბერს დაიწყება.

სკოლის ინსპექტორი ს. ყიფიანი

(5—1)

დაიბეჭდა გორში და ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში

ახალი წიგნი

მიბაძვა ქრისტესი,

თხზ. თომა კემპელისა

ნაწილი პირველი და მეორე.

ფასი წიგნისა ყდითა და სურათებით 70 კაპ., უყდოდ და უსურათებოდ 40 კაპ. (5—4)

მცხეთის დედათა მონასტერში დაარსდა ახალი ოთხ-კლასიანი დედათა სასწავლებელი, რომელშიაც პროგიმნაზიული სწავლა იქნება დაახლოვებით პროგიმნაზიისავე პროგრამით. სასწავლებელთანვე დაარსებულია მოსამზადებელი კლასი. სწავლა დაიწყება 1-ს სექტემბრიდგან.

სასწავლებელში გამართულია პანსიონი. პანსიონში შემსვლელთათვის დანიშნულია ფასი პირველ წელიწადს თორმეტი თუმანი, ხოლო შემდეგს წლებში—ათ-ათი თუმანი. გარეშე მოსიარულეთათვის სწავლების ფასი თხუთმეტი მანეთია. სასწავლებელში შესვლის მსურველებმა ანუ იმათმა მშობლებმა უნდა მიჰმართონ მცხეთის დედათა მონასტრის წინამძღვარს და თხოვნასთან ერთად წარადგინონ წლოვანების მოწმობა და აცრის ქაღალდი, თვით პროგრამმა თავის დროზედ გამოცხადებული იქნება.

პირველ წლობით მხოლოდ მოსამზადებელი და პირველი კლასია დაარსებული. (10—4)

ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

ГРУЗИНСКIЕ ПОЭТЫ

въ образцахъ,

пер. И. Ф. Тхоржевскаго.

ფასი 30 კაპ

წერა-კითხვის გამავრცელებელ

საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

	მან	კაპ.
ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა, გამოცემა «სალმრთო წიგნთ-საკითხავისა»	„	10
თამარიანი, რაფიელ ერისთავისა	„	60
თორნიკე ერისთავი	1	
საყმაწვილო ამბები	„	40
ნინო ორბელიანის ლექსები	„	40
არითმეტიკა, მ. ყიფიანისა.	„	80
სურამის ციხე	„	20
გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა	„	25
ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა.	„	40
თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა	„	50
მცხეთისტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა.	„	25
კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა	„	40
დედაკაცის ხვედრი ნამბობი გლეხ-კაცის ქალისა, თარგმანი ი. რამიშვილის მიერ	„	15
საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე კეისკოპოზის გამოც.	3	„
ოტელლო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ	„	50
სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეკ. გაბაშვილისა	„	10
გულივერის მოგზაურობა	„	50
საქართველოს მეფეებზე, გუდისაშვილისა	„	15
ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა	„	15
ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ.	„	15
დავით აღმაშენებელი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა	„	10
საქართველოს კალენდარი, გუნიასი	„	45
ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისა	„	75
დედა-ენა, მისივე,	„	30
ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე კეისკოპოზის გამოცემა	„	50
თამარიანი, გუგუნავასი	„	50
ლექსიკონი, ჩუბინაშვილისა II ნაწილი	3	„
რუსულ-ქართული ლექსიკონი, მისივე.	3	60
ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა	„	20

„საქართველოს კალენდრის“

რედაქციისაგან:

„საქართველოს კალენდრის“ რედაქცია უკვე შეუდგა 1890 წლის კალენდრის შედგენასა და საჭირო მასალის მომზადებას. კალენდრის სისრულისა და სავსებისათვის საჭიროა მრავალ გვარი საქართველოს შესახები ცნობა და მასალა, ბეჯითად და ზედ-მიწევნით გამოძიებული. ამიტომ რედაქცია მიჰმართავს ყოველს ქართველს, ვისაც-კი შეძლება აქვს თავის სამსახურისა და მდგომარეობის გამო რომელიმე წყება და რიგი იმ ზედ-მიწევნილთა საკალენდარო ცნობათა და მასალათა შეატყოს და მოიპოვოს, მოგვაწოდოს და ამით ჩვენც დაგვავალოს და ჩვენს საზოგადოებასაც, რომელსაც ასე ძალიან ეჭირვება ყოველისფრით სრული, სავსე და ვრცელი საკალენდარო წიგნი. თავის მხრით რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ ბეჯითად მოეკიდოს ამ რთულს საქმეს, აიცილოს თავიდამ ის ნაკლებულება, რომელიც პირველ ხანში ძნელად ასაცილებელი იყო, და სამერმისოდ უკეთესი კალენდარი შესძინოს ჩვენს საზოგადოებას.

—

ზემოხსენებული ცნობა და მასალა საჭიროა მოუვიდეს რედაქციას 15 სექტემბრამდე.

—

რედაქცია დიდის მადლობით მიიღებს ყოველ გვარს სალიტერატურო ნაწერს და ცალკე გამოკვლევას კალენდრის სალიტერატურო განყოფილებაში დასაბეჭდად.

—

რედაქცია მიიღებს კალენდარში დასაბეჭდად ყოველ გვარ განცხადებას როგორც ქართულსა, ისე რუსულსა და სხვა ევროპულს ენაზე შემდეგის პირობით: ერთი გვერდი წიგნის თავში ღირს 12 მან., ნახევარ გვერდი—7 მან. წიგნის შუაში ერთი გვერდი 10 მან.-ბოლოში—6 მან. წიგნის ბოლოში: ერთი გვერდი—5 მან., ნახევარ გვერდი—3 მან., მეოთხედი—2 მან.

ვინც განცხადებას დაჰბეჭდავს კალენდარში, 1890 წლის კალენდარს უფასოდ მიიღებს, განცხადებათათვის უნდა მიჰმართონ ტფილისში: ვ. გუნიას, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში, ქუთაისში—წერეთლის წიგნის მაღაზიას, ფოთში—ნოდიას წიგნის მაღაზიას, ბათუმში—მ. ნათაძეს.

ფოსტის ადრესი: *Тифлисъ. Дворянсій банкъ.* **Валеріану Гунія.** (10—10

№4711.

ამ ფაბრიკის მარკით მომზადებული

ო-დე-კოლონი,
სურნელოვანი წყლები,
სატუალეტო საპონი საუკეთესო ღირსებისა,
გლიცერინის საპონი,
კანის დასარბილებელი საშუალებანი,
კბილის ტკივილის წამალნი,
პუდრა,
თმის ზეთი, პომადა,
ტუალეტის წყალი
და სხ.

თავისის მშვენიერის ღირსებისა და სიაფის წყალობით მთელს ქვეყანაზეა განთქმული.

ვსთხოვთ საპარფიუმერო საქონლის მყიდველთ, რომ ყიდვის დროს საქონელი მოიკითხონ აქ აღნიშნულ

საფაბრიკო №4711. მარკიანი,

რომლისთანაც რუსეთის თითქმის ყველა საუკეთესო საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიებში ისყიდება.

უმთავრესი დეპო ტფილისისათვის იმყოფება ი. პალცერეიტთან. (10—6)

მიხ. ალ. ნასიძე

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიისა, კორპუსისა, რეალურ და სამოქალაქო სასწავლებელთათვის. გარედამ მოსიარულე ყმაწვილები იხდიან თვეში 10 მან., სახლში აყვანილნი—30 მანათს. მიხეილის ქუჩაზედ, კუკიაში, სახლი № 108. (50—26)

კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში, ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Караванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

Доз. ценз. Тифлисъ 11-го Августа 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е.Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე